*3 აპრილი, 2009 წელი*

## არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება 9 აპრილს დაგეგმილი საპროტესტო აქციის შესახებ

2009 წლის 9 აპრილს ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები საპროტესტო აქციას გეგმავენ. ამ აქციის მშვიდობიანად ჩატარებას საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქვემოთ ხელისმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები მოვუწოდებთ:

**საქართველოს ხელისუფლებას** - დაიცვას და უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიან საპროტესტო აქციაში და მხედველობაში მიიღოს აქციის მონაწილეების მიერ წამოჭრილი საკითხები.

**დემონსტრაციის ორგანიზატორებს** - მათი მოწოდებები და ქმედება არ ეწინააღმდეგებოდეს კანონის მოთხოვნებს და უზრუნველყონ აქციის მშვიდობიანად ჩატარება.

**მედიას** - ზუსტად, ობიექტურად და დროულად გააშუქოს 9 აპრილს განვითარებული მოვლენები.

**აქციის მონაწილეებს** - რომ მათი ქმედება იყოს მშვიდობიანი, რათა არ გამოიწვიოს ძალადობის პროვოცირება.

გამოვთქვამთ იმედს, რომ საპროტესტო აქცია კანონის ფარგლებში ჩატარდება და არ იქნება განმეორებული 2007 წლის 7 ნოემბერს დაშვებული შეცდომები.

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - GYLA**
**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED**
**საერთაშორისო გამჭვირვალობა, საქართველო - TI**
**ახალი თაობა ახალი ინიციატივა - nGnI**